# კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

კვირა, 1918 წლის ენკენისთვის 15

№ 1.

ფასი 60 კაპ.

გაზეთი „კლდე“ ორგანო

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

ყოველ კვირა დღეს.

გაზეთის ფასი ერთის თვით 3 მანათი, 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 60 კაპ.

რედაქცია ღია არის: დილის 9 საათიდან 11 საათამდე.

ადრესი: თბილისი, იზმაილოვის ქუჩა, № 27, ბ. № 3. ტელეფონი № 10-25.



Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

F792/7198


## საგულისხმო ცნობები.


ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის გაყოფა.

გენერალ ალექსეევის მოლაპარაკება საქართველოსთან.

ხალილ-ფაშას წასვლა ბაქოსკენ.

დონის ნეიტრალურ რესპუბლიკის გამოცხადება.

ლენინის მორჩენა.

გენერალ კუროპატკინის დატუსაღება.

—

სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონი.

საქართველოს მიწის მესაკუთრეთა—მეურნეთა კავშირის წესდება.


## წერილები.


მეთაური „კლდის“ მრწამსი

გრიგოლ ვეშაპელი ნაციონალ-დემოკრატიული პოლიტიკა

ვ. წერეთელი ჩვენი პარტია

რ. გაბაშვილი ჩვენი ოპოზიცია

დ. ვაჩნაძე „კლდის“ ტრადიცია

დ. ჯავახიშვილი ექვსი წელი

ი. ელიაშვილი მობილიზაცია კულტურისათვის

ქართული პრესა: ორი პარტია

ტ. ჯაფარიძის მოკვლის გამო

გერმანული პრესა: აგრარული დეკრეტის გამო

ფელეტონი: რიხტერის წიგნიდან: „სოციალისტური სახელმწიფო“.


## ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის გაყოფა

### მთავარი კომიტეტის გაყოფა.

რადგან საქ. ნაც.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი თავისი დადგენილებით ამახინჯებს პარტიის წესდებას და კონფერენციის რეზოლიუციებს, და რადგან მთავარ კომიტეტის და ამისი ორგანო გაზეთ „საქართველოს“ პოლიტიკა ეწინააღმდეგება პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ტრადიციას, ამიტომ მთავარი კომიტეტის 7 წევრი (ვეშაპელი გრიგოლ, წერეთელი ვასილ, ვაჩნაძე დავით, ელიაშვილი იოანე, ქარუმიძე შალვა, გაბაშვილი რევაზ, ჯავახიშვილი დიმიტრი) აცხადებს თავის თავს „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტათ“ და იღებს თავის თავზე პარტიის კონფერენციის მოწვევის ინიციატივას.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.

### საპარლამენტო ფრაქციის გაყოფა.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის გაყოფის გამო და მთავარი კომიტეტის 7 წევრის მიერ „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტის“ დაარსების გამო ეროვნულ საბჭოს ნ.-დ. ფრაქციის 6 წევრი (ვეშაპელი გრიგოლ, წერეთელი ვასილ, ვაჩნაძე დავით, გაბაშვილი რევაზ, მაჩაბელი მიხეილ, ქარუმიძე შალვა) აცხადებს თავის თავს „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციად“, რაც ენკენისთვის 13 ეუწყა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია.

—

მოუწოდებთ პარტიის ყველა ორგანიზაციებს, წევრთ და თანმოაზრეთ, რომელნიც იზიარებენ ჩვენ ტაქტიკას, დაიჭირონ პირდაპირი კავშირი საორგანიზაციო და სხვა პარტიულ საქმეთა გამო დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან, საპარლამენტო ფრაქციასთან და მათ ორგანოს გაზეთ „კლდე“-ს რედაქციასთან.

დროებითი ადრესი მთავარი კომიტეტისა და რედაქციისა: თფილისი იზმაილოვის ქუჩა № 27 ბ. № 3. ტელეფონი 10—25.

## ტფილისი, ენკენისთვის 15.

„კლდის“ მრწამსი. გაზეთი „კლდე“ როგორც ორგანო დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა დაიცავს ჩვენი პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ტრადიციას.

გაზეთი „კლდე“ ყოველს საკითხს უქვემდებარებს საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს ინტერესს.

გაზეთი „კლდე“ დაიცავს რომელიმე კლასის ინტერესს, მხოლოდ იმდენად რამდენით ეს ინტერესი ეგუება ეროვნულ სახელმწიფოს აშენების საქმეს.

გაზეთი „კლდე“ სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდება ქართველი ერის უმრავლესობის და საქართველოს სახელმწიფოს ზურგის—მიწის მესაკუთრეთა, განურჩევლად წოდებისა, მეურნეობის ინტერესს.

გაზეთი „კლდე“ დიდს ყურადღებას მიაქცევს ქალაქის მესაკუთრეთა მრეწველობას და ვაჭრობას, იმდენათ რამდენათ ეს მრეწველობა და ვაჭრობა სწარმოებს მკვიდრ, ეროვნულ და ნორმალურ ფარგლებში და მართლაც ემსახურება საქართველოს ეკონომიურად აღორძინების საქმეს

გაზეთი „კლდე“ თანახმად ნაციონალ-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის ტრადიციისა, ოპოზიციის ტაქტიკას აწარმოებს და ამხელს ყველა იმ ექსპერიმენტებს, რომელსაც სჩადის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა როცა საქართველოს სახელმწიფოს ასაშენებლად ისეთს ულტრა—რესპუბლიკანურ და ულტრა—დემოკრატიულ წეს-წყობილებას ჰქმნის რომელიც ქვეყანაზე არავის უნახავს.

## ნაციონალ-დემოკრატიული პოლიტიკა.

ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი კონფერენციის დროს ჩვენი პარტიის საქმეზე ასე ვწერდით: „თავისუფალ სახელმწიფოებში პარტიები სხვა და სხვა კლასთა რეალურ ინტერესებზედ არიან ნაშენები... სხვანაირია უხელმწიფო ერთა პარტიული საქმიანობა, იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფო არ არის, მის მაგიერობას ეროვნული პარტია ეწევა. უხელმწიფო ერის პოლიტიკა იმას ითხოვს, რომ ეროვნულ—პოლიტიკურ უფლებათა მაქსიმუმი იქნას მიღწეული... ამიტომ ეროვნული პარტიის პროგრამა კლასობრივ საკითხებში კომპრომისულია; სხვა და სხვა კლასობრივ ძალთა ოთხკუთხში პარალელოგრამში ეროვნული პარტია დიაგონალს უნდა მიჰყვეს“. („საქართველო“. 1917. 4. VI)

ჩვენ შარშანაც კარგად ვხედავდით, თუ რა ძნელი არის ეკონომიურ მატერიალიზმით გაჟღენთილ ხანაში სხვა და სხვა სოციალურ ინტერესის კლასთა შეერთება პრინციპის გარშემო. მაგრამ ჩვენ გვეხსოვდა, რომ ეს პრინციპი საქართველოს სახელმწიფოებრივი პრინციპი იყო. ომის ხანაში ეს არ იყო განყენებული ოცნება და ამიტომაც ჩვენ ვამბობდით, რაც უნდა მოხდეს საქართველოს სახელმწიფოს აშენებამდე ჩვენი პარტიის პოლიტიკა უნდა იყოს ეროვნული და ზეკლასიური.

ეს იდეალი, საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა, იყო აგრეთვე საზომი ჩვენი პარტიის ტაქტიკისა. ჩვენ ვხედავდით, თუ რა ძნელი იყო, თუნდაც ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში, საქართველოს განთავისუფლება, როცა ჩვენი ხალხის დაღლილობის გამო, უმრავლესობა სახაზინო „რუსეთის“ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციების ხელში იყო. ამიტომ ჩვენ თავიდანვე ვცავდით პარტიათა შორის საკომპრომისო ტაქტიკას და სოციალ-დემოკრატიასთან შეთანხმებით ეროვნული ყრილობისა და საბჭოს მოწყობას.

ამ შეთანხმების ტაქტიკამ ჩიაყენა სოციალ-დემოკრატია მისთვის უცხო ნაციონალურ საქმის კეთებაში. ჩვენი ტაქტიკის გავლენით იყო, როცა ერთი მხრივ ქართლ კახეთის თავად აზნაურობამ კომპრომისული დადგენილება გამოიტანა, და მთელი წოდების კოლექტიური ქონება ქართველი ერის სამკვიდროთ გამოაცხადა და მეორეს მხრივ ახალი მებატონე, სოციალ-დემოკრატიული პარტია დასთანხმდა თავად აზნაურობის ქონების ჩასაბარებლად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევას და ასე, „სადეპუტატო საკრებულოს“ ნანგრევებზე აშენდა ეროვნული საბჭო.

აქ, ამ პირველ სესიის ეროვნულ საბჭოში მუშაობა მივიჩნიეთ მთავარ საქმედ ჩვენი პარტიისათვის და როცა ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერები პეტროგრად-მოსკოვის და მერე ამიერ-კავკასიის დაღუპულ ფრონტებზე პოზიციას პოზიციაზე სთმობდნენ და თვითონ არ იცოდნენ, თუ სად უნდა გაჩერებულიყვნენ, ჩვენ ამ დროს დღითი დღე მუშაობით, საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში თუ მის კომისიებში, ნელნელა ვამაგრებდით იმ უკანასკნელს, ერთად ერთ საიმედო პოზიციას და ფრონტს რომელთანაც, ვიცოდით, მოვიდოდნენ პეტროგრადიდან ლტოლვილი ქართველი სარდლები; ისინი, ირ. წერეთელი და კ. ჩხეიძე მოვიდნენ კიდეც აქ და დადგნენ ეროვნულ პოზიციაზე ნაციონალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ გაიმარჯვა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, ე. ი. ინტერნაციონალურ სოციალიზმის პარტიამ განუცხადა მის მიმყოლ ხალხის უმრავლესობას—საქართველო დამოუკიდებელია და ეროვნული სახელმწიფო უნდა დავაარსოთო. „რუსეთის“ პარტიამ უარყო რუსეთი და გასცვალა იგი გერმანიის ორიენტაციაზე, იმ ორიენტაციაზე რომელიც დამზადებული იყო აგრეთვე ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა თავდადებული მუშაობით როგორც აქ საქართველოში, ისე გერმანიაში.

ეს მომენტი სწყვეტს ნაციონალ-დემოკრატიულ ტაქტიკის მიმართულებას, დღეიდან საქართველო აღარ წარმოადგენს სარევოლიუციო ოკეანეში გადაკარგულ კუნძულს, რომ სხვა და სხვა პოლიტიკური და ეკონომიური ექსპერიმენტები მოვითმინოთ ან დაგვაცალონ. დღეიდან ჩვენი სამშობლო დიდი იმპერიების სფეროში მოექცა და თუ პრინციპი ეროვნულ თავისუფლებისა, განცხადებული სოციალ-დემოკრატების მიერ, რეალობად არ იქცა და საქართველოს სახელმწიფო მართლაც არ აშენდა, ახალი დაპყრობა და მონობა მოგველის.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია ამ საქმეში მეტის მეტად ორპოფულია; იმ შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, რაც სოციალისტ მინისტრებს მოსდით უცნობ და უცხო საქმეების კეთების დროს, მათ არ სწამთ ის საქმე, რასაც იძულებით აკეთებენ: მართლაც, რაც უნდა დიალექტიკურ ხალხთან გვქონდეს საქმე, როგორ უნდა დავიჯეროთ,—რომ ეს ადამიანები, თუნდაც ბუნებით მეტად კეთილშობილნი, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი და სული სოციალიზმისა და ინტერნაციონალის იდეალს შეალიეს და ამისათვის წლობით ციმბირის ციხეებში ლპებოდნენ,—რომ ამ ადამიანებს გულწრფელად სწამდეთ საქართველოს ეროვნული სახელმწიფო და არ უყურებდნენ დამოუკიდებლობას ისე, როგორც დროებით „პოლიტიკურ კომბინაციას“, რომლითაც „ღამის გათევა“ შეიძლება, სანამ ინტერნაციონალიზმით არ ამოვა „მზე“ რუსეთის დემოკრატიულ ფრონტისა. ამიტომ არის რომ სოციალისტური მთავრობის საგარეო პოლიტიკა ასეთი მერყევი და ორპიროვანია: იმიტომ არის რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და მთავრობის თავჯდომარე და დიქტატორი ბ-ნი ნოე ჟორდანია ასეთს რეფერატებს ჰკითხულობს საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციაზე და ასეთს თეზისებს გვამცნობს: „საქართველო არის tabula raza (სუფთა ფიცარი) იგი არ არის შებოჭვილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც სახელმწიფო ტრადიციით... ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი რესპუბლიკა, რომელიც იქნება „სოციალიზმთან შეგუებული პოლიტიკური ფორმა“ და შეძლებას მოგვცემს საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას შევუდგეთო... დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროს ჩვენი მიზანი ის არის რომ ჩვენი სახელმწიფო ეკონომიურ ორგანიზაციად გარდიქცესო... (ალბად ამიტომ აგროვებენ ყოველივე სიმდიდრეს ბ-ნ ნოე ხომერიკის ს. დ. სამინისტროში! გ. ვ.)... საბჭოში უნდა ვიქონიოთ როგორც მიზანი სოციალური რევოლიუციაო...“ კონსტიტუციის გეგმა ბ-ნ ნ. ჟორდანიას რადიკალ დემოკრატიული პროგრამით აქვს შედგენილი: ერთპალატიანი რესპუბლიკა („უპრეზიდენტო“!) პირდაპირი სახალხო კანონმდებლობით („რეფერენდუმით“ და ინიციატივით“).. ასეთი უდემოკრატესი რესპუბლიკის რეცეპტის დაწერის შემდეგ ბ-ნ ნოე ჟორდანიას შეშინებია გლეხობის კონსერვატორული და მონარქიული რეაქციის და უნდობლობას უცხადებს გლეხობისგან შემდგარ რევოლიუციურ ჯარსაც: „ეს ისეთი დაწესებულებაა, რომ მას ყოველ წუთში შეუძლია თავისუფლების დამარხვა... მუდმივი ჯარი სრულებით არ ეგუება დემოკრატიულ რესპუბლიკას და როგორც კი ომი გათავდება და საერთაშორისო ნეიტრალიტეტს მოვიპოვებთ, ჩვენ გადავალთ სახალხო მილიციის „წესზეო“...

ამ პერსპექტივების შემდეგ ბ-ნი ნოე ჟორდანია აღნიშნავს იმ პატარა გარემოებასაც, რომ იმგვარი წესწყობილების შექმნა უხდება, რომელიც „ჯერ არსად არ ყოფილა და არ არსებობს“, მაგრამ თავის პარტიას გულს მაინც არ უტეხს და ნუგეშს, სცემს—„თუ ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ დავმარცხდებით ერთი რამ უეჭვოა—პირუთვნელი ისტორია იტყვის, რომ ჩვენ—სწორი (!) გზით მივდიოდითო“.

როცა ასეთი სიტყვები გვესმის ჩვენი ბისმარკებისაგან, მაშინ საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავრობის კრიზისი აუცილებელია და მოახლოვებული და ქართველ ნაციონალისტების მთელი ძალა იქით უნდა მიემართოს რომ ავადმყოფ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრიზისი მთელი ქართველი ერის კრიზისად არ გადიქცეს და მომაკვდავ სოციალისტურ სამინისტროს თან არ გადაჰყვეს საქართველოს სახელმწიფოც.

ჩვენ ნაციონალისტებს არა გვწამს ისეთნაირი სახელმწიფოს შენება, როგორიც ჯერ ისტორიამ არ იცის... ჩვენ გვინდა განვაგრძოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციის დროს ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც მოქცეულა სხვა ჩვენისთანა პატარა ერები... ამ მხრივ ბულგარეთის სახელმწიფოს აღდგენის და განმტკიცების ბრწყინვალე მაგალითი არის ჩვენი გზის მაჩვენებელი.

ჩვენ ვამბობთ: უნდა შესდგეს ისეთი მთავრობა, რომელსაც მინისტრობისთვის საჭირო ნიჭი, ცოდნა და გავლენა აქვს და ამ მთავრობამ დაუყონებლივ, სანამ გვიან არ არის, უნდა ისარგებლოს იმით რომ გერმანიის საერთაშორისო ინტერესები მოითხოვენ ეხლა ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს შექმნას; უნდა გამოვიყენოთ დაუყონებლივ გერმანიის სამხედრო, საფინანსო და სახელმწიფო დახმარება და უნდა შევქმნათ საჩქაროდ რკინის დისციპლინის რეგულიარული ჯარი, რომელიც საბოლოოდ უზრუნველჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას ყველა პირობებში და ყველა მტერისაგან... ასე მოიქცა ამ ორმოცი წლის წინად ბულგარეთი და საქართველოს გზაც ასეთი უნდა იყოს...

ჩვენ კარგად ვიცით რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ორგანიზაცია სავსებით ეგუება ქართველი ერის მთავარ კლასთა ინტერესებს... ქართველი ერის უმრავლესობა—მიწის მესაკუთრენი დამეურნენი, სულ ერთია რა წოდებისაც უნდა იყვნენ ისინი, გლეხები თუ თავად-აზნაურები, თავიანთი აგრარული ინტერესების ნამდვილ დამცველს მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოში ჰპოებენ. მხოლოდ მაშინ აყვავდება ჩვენში სამეურნეო კულტურა, განსაკუთრებით პურისა, და მხოლოდ მაშინ იქნება დაცული უცხოელებისაგან ჩვენი გლეხების მიწა; ასევე ითქმის ეროვნულ ფარგლებში მომქმედ ვაჭარ-მრეწველებზე, იმ ქართველ „ბურჟუაზიაზე“, რომლის ტრადიცია განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილისთანა პატიოსან საქმიანობაში უნდა ვეძიოთ... კომერცია და ინდუსტრია ყოველთვის ეროვნულ სახელმწიფოს პროტექციონიზმით იზრდება... მხოლოდ მცირერიცხოვანი გეშეფტმახერები და სპეკულიანტები ვერ ეტევიან სამშობლო ტერიტორიის საზღვრებში და მათთებრ მცირერიცხოვან ნამდვილ პროლეტარებთან ერთად გულგრილად ეკიდებიან დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს ბედს და თავიანთ საშინაო და საგარეო ორიენტაციას იმით ზომავენ, თუ სად და ვისი მეტი გატყავება შეიძლება...

ჩვენი პოლიტიკა ნაციონალურია პირველ ყოვლისა, ამიტომ ვაწარმოებთ ჩვენ სოციალისტური მთავრობის ოპოზიციას და ამას იქითაც განვაგრძობთ ამ ტაქტიკას, სანამ ქართველი ერის პოლიტიკურ ძალთა განწყობილება არ შე-

ცვლება ჩვენი პარტიის სასარგებლოდ და სანამ არ შეიცვლება სოციალ-დემოკრატიული პარტიის სადიქტატურო პროპორცია, რომლის წყალობით მეუმრავლესე სოც.-დემოკრ. პარტიის კრიზისი დაღუპვით ემუქრება მთელს საქართველოს...

ჩვენ ვიცავთ ნაციონალ დემოკრატიული პარტიის პროგრამის ტრადიციას და წინააღმდეგნი ვართ რომ ჩვენმა პარტიამ მიატოვოს სახელმწიფოებრივი გზა და გადავიდეს კლასიურ შესახვევში.

ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ არ აშენებულა და ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს ნამდვილი მთავრობა. ამიტომ ეროვნულ პარტიას არ შეუძლია თავისი მისიის მიტოვება და გარდაქცევა პროფესიონალურ ინტერესთა დამცველ პარტიად. დიდი ეროვნული საკითხების გარკვევა და გადაწყვეტა საქართველოს სახელმწიფო მდგომარეობის თვალსაზრისით, ეს არც ერთს კლასიურ პროფესიულ პარტიას არ შეუძლია, ეს ნაციონალურ პოლიტიკის პარტიის საქმეა...

და მით უფრო წინააღმდეგნი ვართ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელმწიფოებრივი ტრადიციის დატოვებისა, როცა ეს იმ მიმართულების სახით გვევლინება, რომელიც პარტიის პროგრამისა ტაქტიკის და ორგანიზაციის „ბურჟუაზიულ" რეორგანიზაციას მოითხოვს. ჩვენ არ შეგვიძლია მარტო ერთის კლასის პროფესიულ ინტერესების დაცვა და ისიც იმ კლასის, რომელიც სულ მცირე ნაწილს შეადგენს ქართველ ერში, ეს პარტიის პრინციპების ღალატიც იქნებოდა და მთელ ერისაც. ამიტომ იყო რომ ეს მიმართულება ყოველთვის ასე სასტიკად მარცხდებოდა ჩვენ კონფერენციებზე და მას ეხლაც ზურგს უმაგრებენ [illegible] პარტიის ტრადიციას ისეთ საკითხში როგორიც არის მიწის მეურნეთა და მესაკუთრეთა საკითხი საკითხი იმ ეკონომიურ კატეგორიისა, რომელიც რაოდენობით და ხარისხით იყო, არის და იქნება ბურჯი საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა. მიწის მესაკუთრეთა მეურნეობა აძლევს საშუალებას სახელმწიფოს საკუთარი პურით გამოკვების ქალაქები. მიწის—მესაკუთრეთა მეურნეობა აძლევს სახელმწიფოს საშუალებას საკუთარი, ეროვნული ხაზინა მოახდინოს და მიწის მესაკუთრეთა კლასია ის კლასი რომლისგან უნდა შესდგეს ეროვნული ლაშქარი, რეგულიარული არმია; წოდებრიობა აქ მოსატანი არ არის, რადგან მესაკუთრეთა აგრარული ინტერესები ერთი და იგივეა, გლეხი იქნება ის თუ თავად-აზნაური, სულ ერთია. პოლონეთში ეროვნულ ბრძოლის მთელი სიმძიმე მიწის მესაკუთრეთა და მეურნეთა ბეჭებზეა და სწორედ პოლონეთის აზნაურობა იყო, რომ თავსხნობდა ეროვნულ ტერიტორიისათვის და მიწისათვის ბრძოლას უცხოელებთან.

ამიტომ ჩვენ ვიცავთ პარტიის ტრადიციას, რომელიც ამბობს, კერძო საკუთრება ხელუხლებელიაო და ამიტომ ვებრძვით ჩვენ ბ. ხოჯ ხომერიკის მიწის დეკრეტს; თანახმად პარტიის ტრადიციისა ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ მიწის დეკრეტი გამოცემული რუს სომხურ აზიურ—კავკასიის სეიმის მიერ უნდა გაუქმდეს, რადგან ამ დეკრეტის წყალობით იპობა მეურნეობა სოფლად, რის გამო სახელმწიფოს აღარა აქვს არც სურსათი და არც ფინანსები. და ამ დეკრეტის წყალობით საკუთრების გაუქმებამ სოფლად ისეთი შუღლი და მტრობა გააღვივა სხვა და სხვა კლასთა და წოდებათა შორის და ისეთი ანარქია შექმნა, რომ მობილიზაცია და რეგულიარული ჯარის ორგანიზაცია შეუძლებელი ხდება, ესე იგი შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს აშენება.

ჩვენ ვიცავთ პარტიის პროგრამის ტრადიციას რომელიც სახელმწიფოებრივის და არა ყაჩაღურის წესით სწყვეტს აგრარულ საკითხს. მცირე მამულიანი გლეხი, უნდა უზრუნველვყოთ მიწით, მაგრამ ისე რომ საკუთრება არავის არ წავართვათ—და თუ სახელმწიფო რომელიმე მემამულეს მიწას ჩამოართმევს საკოლონიზაციო ან საგრარო ფონდისათვის, მესაკუთრეს სამართლიანი ფასი, უნდა მიეცეს მის საკუთრებაში.

და როცა ჩვენი პარტიის ოფიციოზი გაზეთი „საქართველო" რედაქციულ წერილში მიწის საკითხს იმით სწყვეტს, რომ კონფისკაციის დეკრეტს ურიგდება და მხოლოდ იმას ურჩევს მთავრობას „ცოტაოდენი" დაკმაყოფილება მიეცათ მემამულეებს რომ ამით რესტავრაციის მოძრაობას ნიადაგი გამოვაცალოთ (№170) როცა მიწის საკუთრების დაცვას ჩვენი პარტიის ოფიციოზი მხოლოდ პოლიტიკურის, ტაქტიკურის თვალსაზრისით უყურებს და აგრარულ საკითხების უდიდესი ეკონომიური და ეროვნული მნიშვნელობა აღარა სწამს, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ დავიწყოთ ბრძოლა პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ტრადიციის დასაცავად.

ჩვენი პარტიული ტრადიცია ის პოლიტიკაა, რომელმაც თავის დროზედ ისეთი ეგზამენი დაიჭირა, როგორიც იყო დამფუძნებელი კრების არჩევნებში უორგანიზაციობისა და ტერორის პირობებში მეორე ადგილის დაკავება ქართულ პოლიტიკურ პარტიებში; ეს ის პოლიტიკაა რომელიც დღესაც, უფრო უარეს პირობებში ახალ ეგზამენს იჭერს საეროზო არჩევნებში...

ჩვენი პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელიც თავის დროზედ იყო დადასტურებული ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის პირველი, დამფუძნებელი და მეორე კონფერენციების მიერ.

და ამ პოლიტიკითვე წარვსდგებით ჩვენ პარტიის მესამე კონფერენციაზე, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქნას მოწვეული.

გრიგოლ ვეშაპელი.

## ჩვენი პარტია.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტია მიდიოდა და დღემდის იმ გზით, რომელსაც მივყავართ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისაკენ. და ამ გზას არც აწ უნდა გადავსცდეთ.

ჩვენი პარტია—კლასთა ბრძოლის აღმსარებელ პარტიათა მოქმედების უარყოფის ნიადაგზე დაიბადა და გაიზარდა. ის—ეროვნული, სახელმწიფოებრივი პარტია არის, და თუ დღემდის არ ღალატობდა, არც ოდესმე უღალატებს თავის დანიშნულებას.

მაშასადამე ჩვენს პარტიას მიზნად აქვს დასახული ბრძოლა სახელმწიფოს დამარღვეველ ელემენტებთან, უსინდისო სპეკულიაცია იქნება ეს, ანარქიული მოძრაობა, თუ ადმინისტრატიული ბოროტმოქმედება, ეს სულ ერთია.

იმავე დროს ჩვენი პარტიას ანარქიის წარმომშობ უმთავრეს მიზეზად მიწის კერძო საკუთრების საფუძვლის შენგრევა მიაჩნია.

გვეუბნებიან, გამოეთხოვეთ იმედს, რომ ოდესმე კერძო საკუთრება მიწაზე მკვდრეთით აღსდგებაო. მაგრამ ჩვენი რწმენით, მიწათმფლობელობის რეფორმამ თუ ის მახინჯი ფორმა მიიღო, რომელიც აწ განსვენებულ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის მიერ გამოცემულმა მიწის დეკრეტმა დააკანონა, მეურნეობა გავერანდება და საქართველოს ეკონომიური წარმატება შეუძლებელი შეიქნება.

ჩვენ, როგორც სახელმწიფოებრივი პარტია, თანასწორად შევუწყობთ ხელს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ნამდვილ ვაჭრობისა (და არა სპეკულიაციისა) და ნამდვილ სიმდიდრის შემქნელ მრეწველობის განვითარებას. და თანასწორადვე დავიცავთ პატიოსანი შრომის წარმომადგენლობის სამართლიან ინტერესებს.

მხოლოდ ამ პირობით შეიძლება რეგულიარულ ჯარისა და ფინანსების შექმნა და სოციალური არეულობისა და ანარქიის ჩაქრობა, ე. ი. სახელმწიფოს აშენება.

ვასილ წერეთელი.

## ჩვენი ოპოზიცია.

ეროვნულ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზედ ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ აღმოაჩინა რომ ეროვნული დემოკრატები ჩუმად იყვნენ „ფრეილინის ქუჩაზედ", რადგან ეშინოდათ და ხმა აიმაღლეს „სასახლეში", რადგან გარეშე ძალის იმედი მიეცათო. ეს ჩვეულებრივი ფანდი იყო ჩვენ გასაწბილებლად, რადგან არსებითად ჩვენ ოპოზიციაში ვიყავით ყველა ჯურის სოციალისტებთან ჯერ კიდევ მაშინაც, როცა ოფიციალურად ჩვენი პარტია არ არსებობდა. და თუ ფრეილინის ქუჩაზედ, სადაც ეროვნული საბჭო ს. დ. ხელწამოსაკრავ „ბიუროს" წარმოადგენდა, და იმაზედაც წინა, როცა ეს „ბიურო" არ არსებობდა, ჩვენ ხანდახან უთანხმოებით სოციალ-დემოკრატიას—ეს იმიტომ რომ ლოღიკურად მიგვეყვანა ეროვნული საბჭო პოლიტიკურ ორგანოდ გადაქცევამდე.

როცა ეს მოხდა და როდესაც სოციალ-დემოკრატიას გამოვაღებინეთ ის უაღრესი ნაყოფი, რომლის გამოღება ყოველმხრივი იძულებით ძლივს „აიძულა ცხოვრებამ",—ამის შემდგომ ცოტადა მოიძებნებოდა რეალური ნიადაგი, საცა კომპრომისი ჩვენის მხრიდან ყოფილიყო საჭირო, ვინაიდან უდიდესი მიზანი—დამოუკიდებლობა—ფაქტი გახდა. ამის შემდგომ სოც. დემოკრატიას უნდა ეზიდნა ერთის მხრით უკმაყოფილება, რომ ასე გვიან, ასე ცუდ პირობებში და საქართველოს საუკეთესო ნაწილების და სახელის დაკარგვის ხარჯით მოხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება და, მეორეს მხრით,—დამოუკიდებელ საქართველოს ფარგლებში კრიტიკა სოციალ-დემოკრატიისა აუცილებელი პოლიტიკური მოვლენა იყო და იქნება, რადგან სახელმწიფოს ნამდვილი გამაგრებისათვის, ახლანდელ პირობებში, საჭიროა კომპრომისები მათის მხრიდან. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ბევრი სოციალისტური სიტყვიერ-ქარბუქის შემდეგ—ეს დათმობა ხდება კიდეც, მაგრამ საუბედუროდ, ყოველთვის დაგვიანებით და ყოველთვის უვიცობის სახით. ოპოზიციის ვალია ამ დათმობათა გაფართოებისა, დაჩქარებისა. და მაზედ შეწონილების ხელის შეწყობა.

ახლაც ხდება, თუ მივმართავთ ისტორიისა და ფაქტებს და არა სოციალისტების კიდევ ეროვნულ საბჭოში.

ყველას ახსოვს ის დღე, როცა საქართველოს პირველმა მთავრობამ წაიკითხა პირველი დეკლარაცია,—აღვსებული რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიისა, სახელმწიფოებრივ აზრთა მკრთალ ჩანასახებისა და სამშობლო მცდე იდეებისა. ამას მოჰყვა ჩვენი, კონტრ-დეკლარაცია, მთელის სიგრძე-სიგანით შეფარდებული სახელმწიფოებრიობასთან: ძლიერი ჯარი, ადმინისტრაციის და ფინანსიური სისტემის გამტკიცება, კერძო საკუთრების დაცვა, სახელმწიფო საზღვრების გამორკვევა.

ჩვენ მოვითხოვდით კოალიციონურ პლატფორმის შემუშავებას და მთავრობის შედგენას პარიტეტის ნიადაგზედ. მაგრამ, რამდენადაც დათმობი და უკან დახევები შეიქმნენ ჩვენი სოციალისტები თავიანთ პროგრამებში, რამდენადაც შეთანხმების პლატფორმა ფართოვდებოდა, იმდენად უფრო შეურიგებელნი ხდებოდნენ ადგილების განაწილებაში; რამდენად უფრო მეტს იძენდნენ ოპოზიციისაგან, მით უფრო სასტიკი ხდებოდა ბრძოლა მასთან: „არაფერი კარგი არ გამოვა ნაზარეთიდან"—განიმეორეს ფარისეველთა სიბრძნე და ქვეყანას აჩვენებდნენ, რომ ჩვენგან მიღებული კარგი მათი საკუთრებაა, რადგან ისინი ასეთნი... სპეციალისტურად. ამ მხრივ ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლიან აღვნიშნოთ მთელი რიგი ჩვენ მიღებული გავლენისა. და მაშინ აშკარა გახდება რომ „რევოლუციის მონაპოვარი" ობიექტიურად ყველა იფანტება და რჩება მხოლოდ როგორც სუბიექტიური ცხოვრების პირობათა გაუმჯობესება იმათთვის, ვისაც ძალა უპყრია ხელთა. ცხოვრება ვერ გარდაჰქმნეს სოციალისტებმა და რეალურ ცხოვრების კანონებმა კი, რომელთაც ჩვენ ვუჭერთ მხარს,—გარდაჰქმნეს თანდათან სოციალისტები. ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კალაპოტში არ ჩამდგარა საქართველოს ცხოვრება და ჩვენც მოვალენი ვართ სახელმწიფოს სიმტკიცისათვის ვზიდოთ უღელი ოპოზიციისა, ვიდრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ ჩამოყალიბდება ნორმალურ, ბუნებრივ ფორმაში.

რ. გაბაშვილი.

## „კლდის" ტრადიცია.

ბევრს მკითხველს გაუკვირდება თუ რატომ გამოვდივართ კვლავ გაზეთ „კლდის" სახით? ამისათვის საჭიროთ ვიცნობთ გავიხსენოთ „კლდის" და მისი წრის მოღვაწეობის წარსული და პოლიტიკური ტრადიციები.

„კლდე" დაიბადა მეტად მძიმე პირობებში. 1912 წლისათვის იყო რუს ნაციონალისტების მაკიაველისტურ პოლიტიკის ხანა, რომელიც გამოიხატებოდა განსაკუთრებით ქართველების და ქართველ ხალხის ინტერესების დევნით.

ამ პოლიტიკამ განგებ შეაჯგუფა, დარაზმა სოხუმი, ოსეთი, რუსეთი და სხვა საქართველოში მოსახლე ერები და მიუსია საქართველოს. არ გამოდიოდა რაიმე ახალი კანონი, პროექტი ან თვალსაჩინო ადმინისტრატიული განკარგულება, რომელიც აშკარად არ ეწინააღმდეგებოდა ქართველ ხალხის სასიცოცხლო ინტერესს. ოსურ ხიზანთა კანონი, სომხური „კავკასიის გუბერნიების გადამიჯვნის პროექტი" რუსული საკოლონიზაციო პოლიტიკა მიმართული იყვნენ იქითკენ, რომ ქართველების ხარჯზედ საქართველოში უცხო ტომნი გაემაგრებინათ და სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ საქართველოს თავისუფალ პოლიტიკურ მომავლისათვის. ეს იყო ის საბედისწერო ხანა, როდესაც ქართული საზოგადოება განიცდიდა საშინელ ინდეფერენტიზმს და, მოკლებული თავდაცვის ბრძოლის უნარს, თავს ირთობდა სიმბოლისტურ-ეროტიულ პოეზიით. ამას ზედ ერთვოდა ხელმძღვანელ ქართულ პოლიტიკურ პარტიების უკიდურესი დოქტრინიორობა, დაუსრულებელი ინტერნაციონალური ქრიამული და ქვეყნის გაბრუება სოციალისტურ ფანტაზიებით.

სწორედ ამ უიმედობის დროს გამოვიდა „კლდე" თავის პატრიოტულ ახალგაზრდათა ჯგუფით და გაბედულად შეებრძოლა შიგნით და გარედ სამშობლო ქვეყნის ყველა დამრღვევ ელემენტებს. ყოველ საჭირბოროტო საკითხში „კლდე" გამოდიოდა საქართველოს ხალხის ეროვნულ ინტერესების უაღრეს მცველად.

ყველაზე დიდ ყურადღებას „კლდე" მიწის საკითხს აქცევდა, რადგან ისეთ კლასიკურ სამეურნეო ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ამ საკითხის სწორად გადაჭრა მას უპირველეს საგნად მიაჩნია.

მიწის საკითხში „კლდე" სასტიკად იცავდა კერძო საკუთრების პრინციპს.

იგი წინააღმდეგი იყო ყოველ გვარ ექსპერიმენტებისა რომელნიც ამ პრინციპს არღვევდნენ, იმ მოსაზრებით, რომ დარღვევა ამისა მესაკუთრეთა და მეურნეთა ქვეყანაში არის დარღვევა ქართველ ხალხის ცხოვრებისა და დაღუპვა საქართველოს მომავლისა.

ამასთანავე „კლდე" რეფორმისტად გამოდიოდა, და მომხრე იყო ესეთ აგრარულ რეფორმისა, რომლის საფუძვლად იდო აუცილებელი ეროვნულ-პოლიტიკური საჭიროება. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ქართულ მოსახლეობის გასაძლიერებლად „კლდე" მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ დაქვეითებულ მსხვილ მემამულეობამ ქართულ საკოლონიზაციო მიზნებისათვის უნდა დაუთმოს ზედმეტი და დაუმუშავებელი მიწები ქართულ საკოლონიზაციო ფონდს, რომ იგი ხელმისაწვდომ ფასში დაურიგდეს ქართველ მსურველ გლეხკაცობას სრულ საკუთრებად. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში „კლდე" არც წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს საჭიროებისამებრ მიწების ჩამორთმევისა გამოსყიდვით.

„კლდის" შეხედულება ქართულ სოციალიზმზე მარტივი იყო: „კლდე" ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის და სოციალისტების ბატონობა, რომელიც უარჰყოფს კერძო საკუთრებას ახდილად თუ ფარულად წვრილ და საშუალო მესაკუთრეთა და მეურნეთა ქვეყანაში როგორც საქართველოა დამღუპველი იქნება მისთვის.

უხსნიდა ხალხს რომ სოციალიზმი საქართველოში ტეატრალური დეკორაციაა. რომ ის მარტო შორიდან გულუბრყვილო მაყურებელს სიმაგრედ ეჩვენება,—მიახლოვებისათანავე კი იგი ნამდვილი ხუხულაა.

და ამტკიცებდა, რომ ქალაქის ორიოდე ქარხნის და რკინის გზის სოციალისტ მუშათა ჯგუფის მეფობა მესაკუთრეთა და მეურნეთა ქვეყანაში უშველებელი უტოპიაა. პოპულიარობას ამ პარტიის ხალხში „კლდე" ხსნიდა ერთ მხრივ ქართველ გლეხთა მიერ თავის ინტერესების შეუგნებლობით და ს. დემოკ. პარტიის ტერორისტული ლოზუნგით: საქართველო ურუსეთოდ დაღუპულია!

პირიქით „კლდის" აზრით, ველურ რუსეთისაგან ჩამოშორება და ევროპასთან მტკიცე კავშირის გაბმა იყო ერთად ერთი ხსნელი გზა მომაკვდავ საქართველოს გაცოცხლებისათვის, მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამდა იმ პირობასაც რომ საქართველოს მართველი წრე თანამედროვე სახელმწიფო იდეის მატარებელი უნდა იყოს და ემყარებოდეს ერის უმრავლესობის რეალურ სურვილებს და არა ერთ რომელიმე კლასის ინტერესს.

1914 წელს „კლდეს" თანამოაზრე გაზეთი „იმერეთი" ამიტომ უპასუხებდა ფედერალისტებს:

ჟურნალი „კლდე" და „იმერეთი" კერძოდ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი კი არ არიან, არამედ ისინი არიან ფხიზელი და შეგნებული დამცველნი სრულიად ქართველ ერის ჭეშმარიტ ინტერესებისა და რადგან ქართველი ერი შესდგება სხვა და სხვა კლასიდან და წოდებიდან რომელთაც ბევრი და მეტად ბევრი საერთო აქვთ ეროვნულ ფარგლებში ამიტომ „კლდე" და „იმერეთი" ერთგულად ემსახურება-გლეხებს, მუშებს, ნოქრებს წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს, მრეწველებს მეურნე გლეხებს და თავად-აზნაურთ და სხვა უფრო, რომ ნუ დაგვავიწყდება ის ჭეშმარიტება რომ ისტორიის ჩარხი მარტო კლასთა ბრძოლით კი არა ტრიალობს.

არა ნაკლებ ყურადღებას „კლდე" აქცევდა ქართულ ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას: კოოპერატიული მოძრაობა სოფლად, ბანკების დაარსება ქართულ ვაჭრობის გაღვივება, მრეწველობის აღორძინება და სხვა ამ ის ტიპის [...] რომელზედაც გამ[...] ამ შემთხვევაში, „კლდე" [...] სებდა იმ ეკონომიურ [...] პირის მუშაობას, ვინც თავის პარტია[...]თან შრომით და ამაგით უტყუარათ უ[...]ყობდა ხელს ქვეყნის გამდიდრებას ეკონომიურად გაღონიერებას.

ასეთი იყო შეხედულობა „კლდის" და მის თანამოაზრეების შინაურ საქმ[...]ბის შესახებ და ამ თვალსაზრის მტკიც[...] და შეძლების დაგვარად ატარებდა ცხ[...]ვრებაში. „კლდის" საგარეო პოლიტიკ[...] გარკვეული იყო: საქართველო ქ[...] ქართველებისათვის! აი ლოზუნ[...] „კლდისა". და ამ ლოზუნგით უშიშრ[...] ებრძოდა ყველა იმათ ვინც ამ ბუნებრ[...] მოთხოვნილების შელახვას სცდილობდ[...]

უკანასკნელ დიდ ომების ხანა „კლდის" ჯგუფმა დროზედ დააფასა სა[...]რთველოსათვის მომავალი ახალი საერ[...]შორისო მდგომარეობა და თუმცა რ[...]სეთის დაღუპვა ჯერ ნაადრევ ფაქტ[...] ითვლებოდა, მაგრამ „კლდის" პოლი[...]კურმა წრემ, მიხეილ წერეთლის და გიო[...]გი მაჩაბლის მეცადინეობით დიდის რ[...]კით, წვალებით და ტანჯვით მოახერ[...] და გაება კავშირი საქართველოსა და [...] შუალ ევროპის სახელმწიფოთა კავ[...]რის მეთაურთან--გერმანიასთან.

„კლდი"-ს ჯგუფი დარწმუნებუ[...] იყო, რომ რუსეთის მიერ დასახიჩრებუ[...] საქართველოს ჭრილობის მკურნავად ძლი[...] და კულტურული გერმანია გამოვიდო[...] რომ ნიკოლოზის მჩაგვრელი ბატონ-ყ[...]რი პოლიტიკა საქართველოში შეი[...]ლებოდა გერმანიის ბრძნულ და ძლ[...] მფარველობით მომავალ თავისუფლ[...] ქართველოსი.

აი როგორ აზროვნებდა და მოღ[...]წეობდა „კლდე" და მისი წრე მახლობ[...] წარსულში. ამ აზრებზე და პოლიტიკ[...] ტრადიციებზე 1915 წელს „კლდე[...] აღმოაცენდა გაზ. „საქართველო" და [...] ალე ხანში აშენდა საქართველოს ერ[...]ნულ-დემოკრატიული პარტიაც. მის ა[...]ნებაში „კლდის" წრე დიდ როლს თ[...]შობდა.

და მომავალ მის მუშაობაში მტ[...]ცედ იცავდა მთლიან ეროვნულ პოლ[...]ტიკას პარტიისას დამოუკიდებელს რო[...]ლიმე კერძო კლასის ინტერესებისაგან.

დ. გაჩნაძე (დ. გაზელი.)

## ექვსი წელი

სწორეთ ექვსი წლის წინეთ, 1912 16 იანვრისთვის იხილა პირველი დღ[...] სინათლე ჟურნალმა „კლდემ". — „ფარ[...] განათლება და ეკონომიური ძალა — ხა[...]ხისა შედუღებული სადი ნაციონალუ[...] პოლიტიკით, მიტანა ერთი ქვისა და გამაგ[...]ბა ამ საფუძველზედ შეადგენს უმთავრ[...] მიზანს ჟურნალ „კლდისას" აი ის [...]რალო და მარტივი მიზანი, რომელ[...] აფრთოვანებდა მაშინ ქართველ ახა[...] გაზრდათა ერთ მცირე-რიცხოვან ჯგუ[...] და სრული იმედიანი მომავლით უშიშ[...] და მას სამშობლოს კეთილდღეობ[...] მიმავალ გზას. ეს ის ხანა იყო ჩ[...] ცხოვრებიდან, როდესაც ბევრის ყოყ[...]ნის შემდეგ გავბედე და უარვყავ სოც[...]ლისტური მიმართულება, რომელსაც [...] სოებით ვეზიარე 1903—4 წლებ[...] 1905 წლის რუსეთის „მცირე" რევოლ[...]უციის დროს, საქართველოში „რუ[...]თულ" იდეების ქადაგებაში ვერ მომე[...]ლნა მეკითხა ჩემი თავისთვის, თუ რ[...]დენათ შეეფერებოდა ჩვენი საქართ[...]ლის სინამდვილეს თეორიები რუ[...] გლეხის „სოციალისტურ შუღლის" სახებ რუსეთში სათემო მიწათმფლო[...]ლობის გამო და სხვა ამ გვარი. მავ[...] ალბათ, ესეთია ახალგაზრდა ადამია[...] ბუნება, ხშირეთ უანგარიშო და უმან[...] გატაცებით რომ ხასიათდება. მხოლ[...] უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ს[...]ლათ დაბრუნებისას, იქ ორი წლის მ[...] მივმა ტრიალმა და დაკვირვებამ დამ[...] წმუნა ჩემი სოციალისტური აზრ[...] უვარგისობაში და უნაყოფობაში. ს[...]რო გამოდგა დაწყება ანბანიდან, მარ[...]ვი რეალური საქმიანობით და ამისთ[...] კი სამარისი იყო ისეთი ლოზუნგე[...] თუნდაც სოციალისტების თვალში [...]ლებ თვალწარმტაცი, როგორიც სამ[...]ბლო საქართველოს ეროვნულ-პოლი[...]კური და ეკონომიური აღორძინება განვითარება. ეს იყო პირველი შემთ[...]ვა, როდესაც ყოფილ სოციალის[...] ახალგაზრდობამ აშკარათ გამოაცხად[...] ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით თავ[...] ნამდვილი, ძალდაუტანებელი, ყო[...]გვარ შაბლონს მოკლებული, ფ[...] სამშობლოსადმი.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველ[...]ში ქუდზედ-კაცის გასოციალისტების[...] ნამ თავისი დრო მოიჭამა.

ამ მხრით ჩვენ უსათუოთ კე[...] საკუთრების მომხრენი ვართ. ეს [...] იძულებითი კომპრომისია ჩვენი მხ[...] არც ტაქტიური მოსაზრება. ჩვენ ვსდგევართ იმ ნიადაგზედ—რა ნიად[...]დაც სწევს მთელი ეკონომიური სტ[...]ტურა საქართველოსი — ესე სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინ ის პატარა ჯგუფი, ეს მეტყველობდა ჟურნალი „კლდე“. ეს იყო ექვსი წლის წინეთ...

ეხლა 1918 წელია, ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო უაღრესათ დემოკრატიული რესპუბლიკა, სოციალისტური ეროვნული საბჭოც, სასახლეზედ გაზუნებული წითელი დროშაც; ამიერ კავკასიის კომისარიატისაგან ნაბოძები მემკვიდრეობა—მიწის დეკრეტიც თავისი სადღეგრძელო მამულთ კომისიებით, სახალხო გვარდიაც, რევოლიუციონური ტრიბუნალებიც და სხვა სახელმწიფოებრივი დოვლათით... მაგრამ მე მაინც მდევნის თითქოს იმ გლეხკაცის აჩრდილი, რომელმაც ამას წინეთ გორის მაზრაში მკითხა: „რითი გათავდა ეს ომი, ჩვენ ვის დავრჩით.“ აი, ასეთია მონური პსიხოლოგია და დიდი ბრძოლა გვექირდება, რათა დავუმტკიცოთ ხალხს, რომ ჩვენ საკუთარ თავს დავრჩით!...

**დ. ჯავახიშვილი.**

---

# ეროვნული კულტურისათვის.

ყოველივე ჯანსაღი არსება ისევე ებღაუჭება თავისუფლებას, როგორც თვით სიცოცხლეს. ჩვენც გაგვიღიმა ბედმა და საქართველოს ეღირსა თავისუფალი არსებობა. ხოლო ეს ფაქტი გვაიძულებს მტკიცეთ ჩავსჭიდოთ მას ხელი, მკვიდრს ნიადაგზე დავამყაროთ მისი საფუძველი და არსებობა. ამისათვის კი საჭიროა ყოველივე კულტურულ ძალთა მობილიზაცია და მათი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება. დღეს პოლიტიკურ ძალთა მოძრაობა სწარმოებდეს თუნდაც უფრო მწვავედ, ვიდრე დღეს არის. პოლიტიკურ მოპირდაპირეთა შეჯახება გამოაჩენს სასურველ გზას და დაამყარებს საბოლოოდ წესიერს ეროვნულ სახელმწიფოს. ხოლო კულტურულ ძალთა მოძრაობა, მიუხედავად პოლიტიკის წარმოებისა, უნდა სწარმოებდეს ქვეყნის საკეთილდღეოდ შეუწყვეტლივ, მჭიდროდ და შეთანხმებით. ეს მოძრაობა არის ისეთივე უჩინარი, როგორც მზეს მზის თბილი შუქი და მასთან ისეთივე ნაყოფიერი, როგორიც არის ეს შუქი უჩინარია კულტურული მოძრაობა იმიტომ, რომ მას აწარმოებს ფართო მასსა დიდიდან პატარამდე და თვალსაჩინო ხდება მხოლოდ ამ მოძრაობის ნაყოფიერი შედეგები.

დღეს საქართველო ადგია კულტურულ ძალთა მობილიზაციის პირველ საფეხურებს და იმედია, შემდეგში თანდათან გაძლიერებს ამ მობილიზაციას და ჩაუყრის მით მკვიდრ საფუძველს ეროვნულ სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებას. ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის წევრობის მოსარჩელეა, თუ პოლიტიკურად დამოუკიდებელია რომელიმე კულტურული მოღვაწე, ეს სახელმწიფოს აშენება-აღორძინებისათვის სულ ერთია, თუ რომ მის ნაყოფიერ მოღვაწეობას ექნება თავისუფალი ასპარეზი. ხოლო კულტურულ მოღვაწის ასპარეზი უთუოდ უნდა იყოს თავისუფალი და ყოველივე კულტურულ მოღვაწის ცოდნა, გამოცდილება და შრომის მოყვარეობა უნდა იყოს აუცილებლად ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენებული და ბოლომდე ამოწურული. მაშასადამე, რაც ადრე და სავსებით მოხდება კულტურულ ძალთა მობილიზაცია და საქართველოსთვის საკეთილდღეოდ ამოძრავება, მით უფრო ადრე გამოერკვევა ჩვენი ქვეყანა ამ არასასურველ ახალქმნილ მდგომარეობიდამ და მით უფრო ჩქარა დამკვიდრდება ჩვენი ეროვნული კეთილდღეობა, რომლისაკენაც ასეთის მოუსვენრობით და გულმტკივნეულობით მიესწრაფვის ყოველივე კეთილსინდისიერი პოლიტიკური მოღვაწე, კულტურული მუშაკი და ყოველივე თვისი ქვეყნისა და მისი დამოუკიდებლობის მოტრფიალე მოქალაქე.

**ივანე ელიაშვილი.**

---

# ქართული პრესა.

## ორი პარტია

ქუთაისის ნაციონალ-დემოკრატიულ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ ბ-ნი სამსონ ფიფიანი სწერს:

„თურმე, ნუ იტყვით, საქართველოში, როგორც წინად, უხსოვარის დროიდან იყო და არის ორი ხამდვილი პარტიის ადამიანები და ამ ადამიანებს ახასიათებს და საზღვრავს არა ევროპიული პოლიტიკა ეკონომიური და სოციალური მიდრეკილების ალღო, არამედ სრულიად ელემენტარული, მემკვიდრეობით გადაცემული, თან შობილი ხიშტები, ხასიათი და ყოფაქცევა.

ვინ დასდევს პროგრამის სიწმინდეს? ვინაა გამსჭვალული საკაცობრიო მაღალი იდეალებით! ვინ ესწრაფვის კაცთმოყვარეობის პრინციპების განხორციელებას რომ მისი მოქმედება, თეორიულად და პრაქტიკულად, მისი ცხოვრების კილო, მისი ყოფა-ქცევა სამაგალითო, სამაგალითო და მისაბაძი იყოს.

დღეს რომ ერთი ჯგუფი მეორეს დასახრჩობად და დასაკლავად არ ეძებდება, ხვალ ხელი ხელ გადახვეული დაიარება მასთან, გუშინ რომ მათი პროგრამები ჯიუტად რადიკალურად ერთი მეორის წინააღმდეგი იყო, დღეს ეს თეორიული წინააღმდეგობა განბიდებულა და ორი გადაკიდებული მოძღვარ მოწაფის ბანაკი მტკიცედ შეკავშირებულა. რატომ? რისთვის?...

ამიტომ აბნევს ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე და ისევ ძველებურად ფიქრობს.

„ძველებურად, ესე იგი, ჩვენ სოფლად და ქალაქად მხოლოდ ორი დარგია, ანუ, ახლანდელებურად რომ ვსთქვათ, ორი პარტიის ხალხია.

ერთს დარგს შეადგენს პატიოსნები, ხალხის გულწრფელი მეგობრები, მტარვალობის მგმობელნი, სიმართლის მოყვარენი, კანონიერების მოტრფიალენი და დამცველნი, ღირსების და საკუთრების ხელშეუხებლობისათვის მზრუნველნი,—მეორე მხრით უპატიოსნონი, თვალთმაქცნი და მარ მოთხენი, წვრილმანი თავმოყვარეობით გაჟღენთილნი, ეგოისტები, მტარვალობისა და ძარცვის მოყვარენი, უსამართლობის და სიცრუის მოციქულნი და მახარებელნი, უსინდისონი და უპატიოსნონი. და, ჩვენდა საგასაკვირველად და სამწუხაროდ, პირველი დარგის ადამიანები ყველგან და ყოველ პარტიაში სანთლით საძებარია, მეორისა ყოველ გზა ჯვარედინზე შეხვდებათ, ყოველ დაწესებულებაში, ყოველ ჯგუფში, ყოველ ოჯახის გარემოზე, ყოველგან და ყოველთვის და შეხვდებათ იმ საზიზღრუდოს ზნეობით, „რაც არი წლის“ მიხიარბად გვიწუნდება.“

---

### ტ. ჯაფარიძის მოკვლის გამო.

გაზეთ „სახალხო საქმეს“ კორესპონდენტი სექტემბერს იტყობინება და შემდეგ გულშემზარავ ამბავს: „26 აგვისტოს, დაახლოვებით 10 საათზე ადგილობრივ (ხაშურის) კომისარის სამართველოს ეზოში ვერაგულად მოჰკლეს ტ. ჯაფარიძე, რომელიც მხოლოდ იმაში იყო დამნაშავე, რომ ეროვნულ დემოკრატს უწოდებდა თავს. კერძო შურისძიების დასაკმაყოფილებლად ერთი თვის წინათ მის ბინაზე მიიჭრა სამი გვარდიელი, თოფიც დაახალეს, მაგრამ განწირული ჯაფარიძე რაღაც სასწაულით გადარჩა. გვარდიელებს ცოტა ხნით იარაღი აჰყარეს და არავითარი ზომები არ მიუღიათ მოქალაქის დასაცავად. აგვისტოს 26 ჯაფარიძე მოიწვიეს კომისარიატი შენობაში, აქვე ბრძანდებოდნენ მისი „მეგობრები“. მათ შორის ძველი ინცინდენტის შესახებ ყოფილა ლაპარაკი რის შემდეგ ჯაფარიძეს დაუტოვებია კომისარიატის და სახლისკენ გამომგზავრებულა, მაგრამ ამ დროს გავარდა საბედისწერო თყვია და შუბლ განგმირული ჯაფარიძე გზაზე გაიშხლართა. მხოლოდ მკვლელი წყნარი ნაბიჯით გაუდგა გზას. კომისარიატის ეზო სავსე იყო მილიციონერებით, მილიციის უფროსი რაიონის კომისარი, ქალაქის კომისარი და სხვა თანამდებობის პირნი, მაგრამ მკვლელი მაინც ვერ შეიპყრეს.“

გაზეთი „სახალხო საქმე“ ამის შესახებ მეორე დღის ნომერში სწერდა შემდეგს: „ასეთი ამბავი მოგვდის ისეთ რაიონიდან, როგორიც არის ხაშური, ასეთი ამბავი ხდება დღისით თითქმის მთავრობის ორგანოების წინაშე, სრულიად გაუსამართლებლად, უღირსად, საზიზღრად. საწყალ კომისართა თავაშვებულობაა, იქ ხსენებული დრამები არ მოისპობიან და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, სანამდი უნდა ვხედავდეთ ჯაფარიძეების, ვეზირიშვილების და რუსაძეების სისხლის წურწურით.“

მთავრობის მოამბემ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ თავის მხრივ აღიარა, რომ, „იმედია ამ ამბავს ახლავე მიექცევა ყურადღება, ფიცხელი გამოძიებით ნათელი მოეფინება ყველაფერს და დამნაშავენი ღირსეული სასჯელით დასჯებიანო“.

10 სექტემბერს, იგივე მთავრობის მოამბე გვამცნობს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის სათანადო „შეკითხვაზე“, ხაშურის სარაიონო კომისარს უპასუხია „ტრიფონ ჯაფარიძე მოჰკლეს კომისარიატის ეზოს კარებში 26 მარიამობისთვეს მკვლელის 2 ამხანაგი გორის ციხეშია. მკვლელი დროებით მიიმალა. დეპეშით ეცნობა სამაზრო კომისარს. გამოწვეულ იქმნა გამომძიებელი, რომელიც წარმოგიდგენთ ყოველივე კანონიერ ფორმალურ მხარეებსო“ არაფერი „კანონიერ ფორმალურ მხარეებზე“ ამბობს ბ-ნი კომისარი... აქ რაღა ფორმალობაა საძებნი: უნდა დაუყონებლივ სამართალში იქმნენ მიცემული ყველა ის ადმინისტრატიული პირნი, ვისი თანადასწრებით დაჰკლეს საწყალი ტ. ჯაფარიძე!

ეს ხომ პირველი მაგალითი არ არის იმ ტერორის, რომელსაც უმართავს სოციალ-დემოკრატიული ადმინისტრაცია არა სოციალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს პროვინციაში: მოიგონეთ სვირში ბ-ნ წიგნაძის დახვრეტის მონდომა და სხვა...

ასეთ პირობებში ტარდება სოფლად აგრარული რეფორმა ასეთ პირობებში ხდება საერობო არჩევნები და ასეთსავე პირობებში მოხდება ალბათ დამფუძნებელი კრების არჩევნები....

ჩვენ ველით იუსტიციის მინისტრის აქტს ტ. ჯაფარიძის მკვლელთა დასასჯელად.

ხაშურისთანა ადმინისტრაციას და იმას ვინც მას ხელს დააფარებს უნდა ახსოვდეთ ეს რომ ვინც ქარს სთესს ის ქარიშხალს მოიმკის.

---

# გერმანული პრესა.

## აგრარული დეკრეტის შესახებ.

„Kaukasische Post“, ორგანო გერმანელთა ეროვნულ საბჭოსი სწერს: მიწის ექსპროპრიაციის ანუ იძულებით ჩამორთმევის დეკრეტი სულ რამოდენიმე თვეა რაც გამოცხადდა, მაგრამ მან უკვე დიდი არეულობა შეიტანა ქართულ ცხოვრებაში. როდესაც ყოფილმა ამიერ-კავკასიის მთავრობამ სოციალისტური მინისტრების დაპირებით გარდაწყვიტა, მემამულეებს მამა-პაპეული უნდა ჩამორთმევოდა და მოწყალებისათვის მათ შეიძლი დესიატინა მიუგდო, მთავრობამ გამოაცხადა, ამით გლეხობა უნდა ავაშენოთო, ნამდვილად კი ამ დეკრეტის დამწერთ ის უნდოდათ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა გაეძლიერებიათ გლეხობაში, ამისათვის გარდაწყვიტეს მათ მემამულეების დაუძლურება. იმ წოდებას, რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში იცავდა ქართულ კულტურას, სოციალ-დემოკრატების წყალობით გამოთხლიშეს მამულ-დედული და კალმის ერთი მოსმით რამოდენიმე ათასი ქართველი მოქალაქე პროლეტარებათ აქციეს. კანონმდებლებს დაავიწყდათ, რომ მიწის მფლობელობისა და მოხმარების ასეთ აჩქარებულად და ხაძალადევ გადატრიალებას დიდი გაჭირვება და სამეურნეო კრიზისი მოჰყვებოდა და სოფლის მეურნეობა დაინგრეოდა, ქართველი გლეხი ჯერ კიდევ ისე ჩამორჩენილი, რომ თავისი მიწას ისე ამუშავებს, როგორც მისი მამა-პაპა, მემამულეთა შორის კი მრავალი რიცხვოვანია კულტურულ მეურნეობის მწარმოებელი, რომელთაც ეხლა სოციალ-დემოკრატებმა მოუსპეს საქმის საშუალება. ამას გარდა მემამულეების მიწების ნაძალადევ ჩამორთმევამ დასცა გლეხების ზნეობრივი ცნება და ბევრი გლეხი, რომელიც სხვის ხარჯზე უცბად გამდიდრდა, იმის მაგიერ რომ პატიოსან შრომას ეწიოს, სპეკულიაციას ეწევა. ყოველივე ასეთი სამწუხარო მოვლენა არის შედეგი მამულების ნაძალადევ ჩამორთმევის. ასეთი კანონი არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში არ განხორციელებულა. რაც კი შეცდომები სოციალისტურ მთავრობას ნაუდესია, მიწის დეკრეტი ყველაზე უფრო მძიმე შეცდომაა. ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს, თორემ ანარქია მთელ საქართველოს მოედება. საქართველოს მთავრობა ვალდებულია რაც შეიძლება მალე დაამყაროს მშვიდობიანობა სოფლად.“

---

შემდეგი ნომრიდან გაზეთ „კლდე“-ში დაიწყება ბეჭდვა შ. ქარუმიძის დღიურისა იმ მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ როგორც კავკასიაში, ისე გერმანიაში.

---

# ფელეტონი

## სოციალისტური სახელმწიფო.

გერმანიის რაიხსტაგის წევრის ევგენი რიხტერის წიგნიდან.

თავი I.

### სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება.

სოციალ-დემოკრატიის წითელი ბაირაღი ფრიალებს მეფის სასახლესა და ყველა დაწესებულებათა შენობებზე.

აი, აქამდე რომ ეცოცხლა ბებელს! იგი ხომ მუდამ იმას ქადაგებდა, რომ სოციალური კატასტროფა შორს არ არისო. გუშინდელივით მახსოვს, როგორ წინასწარმეტყველურად წამოიძახა ბებელმა ერთს კრებაზე: „აწ არსებული საზოგადოებრივი წეს წყობილება უფრო ადრე დაემხობა, ვიდრე ჩვენ თვითონ ვფიქრობთო“. ამაზე წინად კიდევ ფრიდრიხ ენგელსმა იწინასწარმეტყველა, რომ 1898 წელი სოციალ-დემოკრატიის გამარჯვების წელიწადი იქნებაო. მართალია, ცოტა მეტი ლოდინი კი შეიქნა საჭირო ამისათვის.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, პროლეტარიატის ხანგრძლივი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა დამყაყებული საზოგადოებრივი წეს-წყობილება კაპიტალიზმისა და სისტემა ექსპლოატაციისა დაიმხო.

ჩემის დღიურის მიზანია აღვუწერო, რამდენადაც შევძლებ, ჩემ შვილთა და შვილიშვილთ რესპუბლიკის შექმნა ძმობისა და ერთობის საფუძველზე.

მეც აგრეთვე მიძევს ჩემი წილი კაცობრიობის აღორძინების საქმეში. ყველაფერს, რის გადანარჩუნებაც კი შემეძლო როგორც ხელოსანს,—დრო იყო ესა თუ ფული, რაც კი ჩემს ცოლშვილს გადარჩებოდა, ჩვენის პარტიის საჭიროებას ვაძლევდი. სოციალ დემოკრატიულმა მწერლობამ და ჩვენმა კავშირებმა ჩამინერგეს რწმენის სიმტკიცე და სულიერი განვითარება. ჩემი ოჯახი იზიარებს ჩემს შეხედულობას. ბებელის წიგნი ქალთა შესახებ დიდი ხანია სახარებად მიჩნეული აქვთ ჩემს მეუღლეს.

სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკის გაჩენის დღე და ჩემის ქორწინების ოცდა ხუთის წლის თავის ერთსა და იმავე დღეს მოხდა. დღევანდელმა გამარჯვების დღემ საფუძველი ჩაუყარა ახალს ოჯახურ ბედნიერებას. ჩემი ფრანცი დანიშნულია აგნესა მიულლერზე.

ვაჟი ასოთ-ამწყობია, ქალი მკერავი. მაშასადამე იმათ მომავალზე არ უნდა ვშიშობდე. როგორც კი ახალი წესი იქნება შემოღებული სამუშაოსა და სადგომ ბინის შესახებ, ისინი ჯვარს დაიწერენ.

ნასადილევს ყველანი ბულვარზე წავედით. რამდენი ხალხია შეგროვილი! რა დაუსრულებელი სიხარულია! არც ერთი ყალბი ხმა არ არღვევს გამარჯვების დიდებულ დღესასწაულს. პოლიცია გაუქმებულია, თვით ხალხი იცავს სამაგალითოდ წეს-რიგს.

სასახლის ქუჩაზე წინანდელ სასახლის გალავანთან ხალხი მჭიდრო კედლად ამართულიყო. ახალი მთავრობა სასახლეში შეიკრიბა. სოციალ-დემოკრატიის ყოფილ პარტიულ კომიტეტის წევრებმა დროებით იკისრეს მთავრობა. სოციალ-დემოკრატიულმა ხმოსნებმა ახალ განკარგულების მიღებამდე შეადგინეს ქალაქის გამგეობა. როგორც კი ახალ მთავრობის რომელიმე წევრთაგანი გამოჩნდებოდა ფანჯარასთან ან აივანზე, ხალხი აღტაცებულის ტაშითა და ვაშათი ეგებებოდა: ჰაერში ისროდნენ ქუდებს, პლაშჩებს ფრიალებდნენ, ისმოდა მუშათა მარსელიეზა.

საღამოს მშვენიერი ჩირაღდანი. თავისებური შესახედაობა ჰქონდათ ძველ მეფეთა და სარდალთა ძეგლებს რომელნიც წითელ ბენგალის სინათლეზე წითელის ბაირაღებით იყვნენ მორთულნი. დიდხანს ვეღარ დარჩებიან ეს ძეგლები თავიანთ ადგილებზე. ისინი ადგილს დაუთმობენ სოციალ-დემოკრატიის გმირთა ძეგლებს. ამბობენ, უკვე გადაწყვეტილია უნივერსიტეტის წინ, გუმბოლდტების ძეგლის ადგილზე მარქსისა და ფერდინანდ ლასსალის ძეგლები დასდგანო. ფრიდრიხ დიდის ძეგლის მაგიერად განსვენებულ ლიბკნეხტის ძეგლი იქნება ამართულიო.

ჩვენს მახლობლებთან ერთად ღამის კარგა გვიანობამდის ვდღესასწაულობდით ჩვენთვის ორგვარად საზეიმო დღეს ჩემმა სიმამრმაც კი, რომელიც მუდამ ჩვენთან ცხოვრებს და რომელსაც აქამომდე არაფრად ეინტერესებოდა სოციალ-დემოკრატია, დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენს ზეიმში და საკმაოდ გამხიარულდა.

(შემდეგი იქნება)

---

# უკანასკნელი ტელეგრამები.

(საქართველოს სააგენტოსი)

### 14. IX. დილა.

ბერლინის რადიო იტყობინება, დონში ნეიტრალური რესპუბლიკა გამოცხადდაო.

გერმანია ურჩევს ყირიმის მთავრობას უკრაინას შეუთანხმდიო.

ლენინი ლოგინიდგან ამდგარა.

ბრუსილოვი არ მოუკლავთ. ის გაუნთავისუფლებიათ იმ პირობით, რომ ინგლის—საფრანგეთში არ წავა.

### 14. IX. საღამო.

განჯიდან მოსულ ცნობით, ხალილ ფაშა აქსტაფის გზით გაემგზავრა ბაქოსკენ.

ინგლისის ჯარი ემუქრება ფინლიანდიის საზღვარს.

ბოლშევიკებმა ქ. სიმბირსკი წაართვეს ჩეხოსლოვიაკებს.

ბოლშევიკების ბრძანებით დაატუსაღეს გენერალი კუროპატკინი.

რუმინიასა და გალიციაში გირვანქა პური 9 მანეთი ღირებულა.

---

# ქრონიკა

## უცხოეთი.

✦ რუსეთის „კადეტები“ პ. მილიუკოვმა კადეტების პარტიის თავი დაანება და კონსტიტუციონალურ-მონარქიულ პარტიის ორგანიზაციას შეუდგა.

✦ უკრაინის გეტმანი. უკრაინის გეტმანი სკოროპადსკი ამ ჟამად იმპერატორ ვილჰელმთან არის. გეტმანს ფაქტიურად ხელმწიფის ძალა უფლება აქვს. ამიტომ როცა იგი გერმანიაში გაემგზავრა, მან კიევში რეგენტი დატოვა.

✦ ფინლიანდიის ტახტი. ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინელი ადოლფ-ფრიდრიხი, არ თანხმდება ამის მოწვევას და ფინლიანდიის ტახტის დაჭერას.

✦ პოლონეთის მეფე. პოლონეთის მეფედ იქნება ავსტრიის ერცჰერცოგი კარლ-სტეფანი ან მისი შვილი ჰერცოგ ვილჰელმი, რომელსაც სხვათა შორის შესწავლილი ჰქონია კარგად უკრაინული ენაც.

---

✦ ოსმალეთის გეგმები. თათრული გაზეთი „აათი“ ეხება ოსმალთა მიზნებს ამ ომში და ამნაირი დასკვნა გამოჰყავს. დაუბრუნდეს ოსმალეთს სირია, პალესტინა, ეგვიპტე; სპარსეთიდან ინგლისელების განდევნა და სპარსეთის დამოუკიდებლობა; შავი ზღვის მონაპირე ქვეყნები უნდა იქმნენ ოსმალოთა პროტექტორატის ქვეშ, ოსმალეთის პრინცი უნდა იქმნეს ყირიმში და ადერბეიჯანში, სომხეთში ერცჰერცოგი, გერმანელი პრინცი საქართველოშიო.

## საქართველო.

✦ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. გერმანიის მისიის ცნობით თავად-ფაშა და გრაფი ბერნსტორფი იმიტომ გაემგზავრნენ ბერლინში, რომ გერმანია ამ მოკლე ხანში აპირობს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, მიუხედავად იმისა რომ რუსეთი უარზეა.

✦ გენ. ალექსეევი და საქართველო. გენერალ ალექსეევს და ყუბანის მთავრობას დელეგატი გამოუგზავნია საქართველოსთან საზღვრებზე მოსალაპარაკებლად. საქართველოს მთავრობამ თავის დელეგატად ე. გეგეჭკორი დაუნიშნავს.

✦ ტუაფსეს დაბრუნება. გენ. ვაშაკიძე ატყობინებს სამხედრო მინისტრს. რომ ჩვენს მოწინავე რაზმს ტუაფსე აუღია.

✦ მიწის მესაკუთრეთა და მეურნეთა კრება. დღეს 11 საათზე სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიათინსკის ქ. № 5) შესდგება საგანგებო კრება მეურნეთა კავშირისა წესდების შესაცვლელად. პროექტი შესწორებულ წესდებისა იბეჭდება „კლდის“ დღევანდელ ნომერში.

✦ გენერალ ვასილ გაბაშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა ეგრედ წოდებული „წმ. გიორგის საჭურველის საბჭო“.

✦ დრაგუნები გენ. კრესთან. როგორც თბილისის გერმანული გაზეთი იტყობინება, გენერალ კრესს წარსდგომია მისასალმებლად ყოფილი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია გენერალ ნ. მელიქიშვილის და პოლკოვნიკ ა. ჭავჭავაძის მეთაურობით.

✦ საერობო არჩევნები. ქიათურის რაიონში (ზემო-იმერეთი) ყველა სოციალისტურ პარტიათა (ს.-დ. ს.-ფ. ს.-რ.) ბლოკმა მიიღო 1131 ხმა, მარტო ნაციონალ-დემოკრატებმა კი 971.

✦ მობილიზაცია და დეზერტირობა. მთავრობის მოამბისათვის სამხედრო მინისტრს განუცხადებია, რომ „ბევრი ახალგაზდა ცხადდება; მობილიზაცია გარეგნულად კარგად სწარმოებს, მაგრამ საუბედუროდ ჩაიცვამენ თუ არა ტანსა და ფეხზე უკანვე მიდიან, ამისათვის სასტიკი განკარგულებაა გაცემული, რომ წასულები დაიჭირონ. ისინი ისე დაისჯებიან, როგორც ბრძოლის ველიდან გამოქცეული დეზერტირებიო“.

✦ „გაზეთჩიკების ორიენტაცია“ თფილისის ქუჩებში დღე და ღამ გაისმის კივილი მეგაზეთე ბიჭებისა, გერმანელ ოფიცრებთა და სალდათების ცხვირ წინ გაჰკივიან „გერმანელების საშინელი დამარცხება“, „კეთილშობილ ფრანგების ბრწყინვალე გამარჯვება“, „შიმშილი გერმანიაში“, „ინგლისელების გამარჯვება ბაქოს ფრონტზე“ და სხვა ასეთს დემონსტრაცია რუსული ქუჩისა ჩვენს მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ უხერხულია. მილიციის უფროსი მოვალეა ამას ყურადღება მიაქციოს.

✦ სიკვდილით დასჯა. სამტრედიის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა მკვლელობისათვის დახვრეტა გადაუწყვიტა ვლადიმერ ნიკურაძეს და გრიგოლ შარაშენიძეს.

✦ ქართული „წითელი ჯვარი“. ექიმ მიხეილ ზანდუკელის თაოსნობით დაარსდა „საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოება“, რომელიც საერთაშორისო კონვენციებით დაწესებულ უფლებით არის აღჭურვილი. საზოგადოების გამგე-

ობაში აირჩიეს ექ. მ. ზანდუკელი, მ. მგალობლიშვილი, თ. ქარცივაძე, ექ. მამამთავრიშვილი ალ. დიასამიძე, ან. დეკანოზიშვილი, ივ. გომართელი, გრ. დიასამიძე, გ. ყაზბეგი, მინ. ტოროშელიძე, ნინო ნაკაშიძე, აპ. ურუშაძე, კანდიდატებად: ექ. იოს. ცინცაძე, მარ. ჩხეიძე და ნ. ჯაყელი.

✦ რკინის გზის კომიტეტების მოსპობა. გზათა მინისტრმა შემდეგი ბრძანება გასცა მისდამი რწმუნებულ დაწესებულებათა უფროსთა სახელზე: „რკინის გზის კომიტეტებს, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ესპობათ საადმინისტრაციო ფუნქცია და არას გზით ნება არა აქვთ ჩაერიონ საადმინისტრაციო საქმეში. მათ მხოლოდ საპროფესიო კავშირთა უფლებანი და მოვალეობანი ეძლევათ. ვავალებ ყველა უფროსებს სრულიად მოეხმარონ მათდამი მინიჭებული უფლებანი და შეუფარდონ თვისი მოქმედებანი და განკარგულებანი საქმის საკეთილოდ საწარმოებლად მხოლოდ და მხოლოდ არსებულ კანონებს, წესდებათ და ინსტრუქციებს გზათა სამინისტროსას, რომელნიც სარკინისგზო სამუშაოს წესიერ მსვლელობას აძლევენ“.

✦ ქვეშევრდომობის საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ბრძანება დაუგზავნა გუბერნიის და ოლქის კომისრებს და საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის თავებს. „მთავრობის დადგენილებით გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა გატარებული იქნას საჩქაროდ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონი ქვეშევრდომობის შესახებ. მოახდინეთ რეგისტრაცია თქვენ მიერ რწმუნებულ გუბერნიებში, ქალაქებში რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომებისა. მიიღეთ მხედველობაში, რომ ზემოხსენებულ კანონის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ ითვლებიან ყველა მოქალაქენი განურჩევლად ეროვნებისა, რომლებიც მიწერილნი იყვნენ ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წ. 19 ივლისამდე და ეს ადმინისტრატიული ერთეული შედის საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში“.

✦ მიწის რეფორმა ლეჩხუმში. მიწათმოქმედების სამინისტრომ, რაჭა-ლეჩხუმის დამორჩილების შემდეგ, განკარგულება გასცა იქ მიწების ჩამომრთმევი კომისიები გაიგზავნოს.

✦ აკ. ხოშტარიას მრეწველობა. უმაღლესი განკარგულებით ბ-ნ აკ. ხოშტარიასთვის, საპნის ქარხნისათვის გადაუციათ ბლომათ სახაზინო სოდა. როგორც გაზეთი „Тр. зн.“ ამბობს, ბ-ნ აკ. ხოშტარიას ქარხანა ჯერ არ დაარსებულა და არსებული საპნის ქარხნები კი უსოდობის გამო ვერ მუშაობენ.

✦ ხოლერა თბილისში. უკანასკნელ დღეს 11 ავადმყოფი გარდაიცვალა.

## სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონი.

მიღებულ ეროვნული საბჭოს მიერ, ენკენისთვის 13.

§ 1. სპეკულიაციად ჩაითვლება:

ა) ნიხრის ზევით ფასის აღება საქონელში.

ბ) ნიხრ დაუდებელ საქონელზე გადაჭარბებულ ფასის აღება;

გ) გადამალვა გასასყიდათ საქონლისა ქალაქში იმ რაოდენობის გარეშე, რომელიც ოჯახის ნახევარი წლის საჭიროებას აღემატება, ხოლო სოფელში ერთი წლის.

დ) საზოგადოთ ყოველი, ერთისა, თუ მრავალ პირთა მიერ, განზრახ ჩადენილი მოქმედება, მიმართული ისეთ გადაჭარბებულ ფასების აწევისადმი საქონელზე, რომელიც წარმოების და გასაღების პირობებს არ შეეფერება. აგრეთვე ისეთი მოქმედებაც, რომელსაც მიზნად აქვს მთლათ მოსპოს, ან შეამციროს საქონლის შემოტანა.

შენიშვნა 1: განსაზღვრა ყოველს კერძო შემთხვევაში ოჯახის საჭიროებისა, აგრეთვე გადაწყვეტა საკითხისა, გადაჭარბებულ ფასებში გაიყიდა, თუ არა საქონელი, სათანადო სასამართლოს ეკუთვნის.

შენიშვნა 2: იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, გადაჭარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი, მოსამართლე ღებულობს მხედველობაში საქონლის ყიდვაზე, გადატან-გადმოტანაზე გაწეულს და სხვა ისეთს ხარჯებს, რომლებიც არ აღემატება ნორმალურ ან კანონიერ ხარჯს.

§ 2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ დანაშაულობათათვის დადგენილია შემდეგი სასჯელი: ერთი წლით საპყრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათი წლის კატორღამდე და ჯარიმა 100-დან 100. 000 მან.

სასამართლოს დადგენილებითვე გამტყუნებულ პირს იძულებით და უსასყიდლოთ ჩამოერთმევა (კონფისკაცია) სახელმწიფოს სასარგებლოდ როგორც სპეკულიაციისთვის უკვე გამოყენებული, აგრეთვე გადამალული საქონელი.

გარდა ამისა, სასამართლოს უფლება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, მთლად აუკრძალოს ან შეუზღუდოს სავაჭრო უფლება ნი სპეკულიაციაში გამტყუნებულ პირს. ამ შემთხვევაში, დასჯილს პირს დაევალება სალიკვიდაციო ფული გადუხადოს საერთო წესით სასამართლოს მიერ დახურულ სავაჭრო ან სხვა დაწესებულების მუშებსა და მოსამსახურეებს.

შენიშვნა: ამ მუხლის ძალით ჩამორთმეული საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება, უნდა დაუყონებლივ გაიყიდოს სასამართლოს დადგენილების დაუცდელად.

§ 3. ვინც ამ კანონის გამოცემის შემდეგ, საპატიო მიზეზის გარეშე, მოსპობს ან თვალსაჩინოთ შეამცირებს ვაჭრობას, სამრეწველო ან სახელოსნო საქმეს, ის დაისჯება ერთის წლით საპყრობილეში დატუსაღებიდან ვიდრე ათი წლის კატორღამდე და გადახდება ჯარიმა 100-დან 100 000 მანეთამდე.

§ 4. ვინც სოფელში ყიდის ან დაიბევებს პურს, სიმინდს, ღვინოს და ან სხვა რაიმე სოფლის ნაწარმოებს და ნაყიდ საქონელს განზრახ იმ მიზნით არ გაიტანს, რათა ფასებმა აიწიოს, ის პასუხის გებაში მიეცემა და დაისჯება ამ კანონის მე 2 მუხლის ძალით.

§ 5. ვინც ისეთ ხმებს გაავრცელებს, რომლიც სპეკულიაციისათვის ხელსაყრელ პანიკასა ჰქმნის საზოგადოებაში, საერთოდ ხელს უწყობს საქონელზე ხელოვნურად ფასის აწევას, ის დაისჯება საპყრობილეში დაპატიმრებით ერთი წლიდან ორ წლამდე.

§ 6. ვინც ვისიმე სასპეკულიაციო მოქმედება აშკარათ იცის ან ვინც ნიხრზე ან აშკარათ გადაჭარბებულ ფასებში იყიდის საქონელს და ამ გარემოებას დამალვით განზრახ ხელს შეუწყობს სპეკულიაციას, დაისჯება ჯარიმით 50-მანეთიდან 5000 მანეთამდე.

§ 7. მოხელენი, რომელთაც სპეკულიაციასთან ბრძოლა ევალება და დაუდევრობისა თუ უმოქმედობის გამო ჯეროვან ზომებს სპეკულიანტთა წინააღმდეგ არ მიიღებენ, დაისჯებიან უდიდესი ხარისხით თანამდებობის პირთათვის დადებულ სასჯელისა და გარდა ამისა გადახდებათ ჯარიმა 500-დან 5 000 მანეთამდე, ხოლო ის მოხელენი, რომელნიც განზრახ დაფარავენ (сокрытiе) ან დაუშვებენ (Попустительство) ერთ ერთს რომელიმე დანაშაულობას პირველსა, მესამესა და მეოთხე მუხლებში გათვალისწინებულს, ისჯებიან დანაშაულობათა თანამონაწილეობის წესების მიხედვით (117—119, 121, 123,—125 სასჯელთა დებულებისა) თუ ამასთანავე აღნიშნული პირნი მოქმედებდენ ანგარებით ან მოყიდვით დაისჯებიან კატორღით 6 წლისა და არა უმეტეს 10 წლისა.

§ 8. ყოველი მოვაჭრე მოვალეა გამოფინოს სავაჭროში ნიხრი რამოდენსამე გამოჩენილ ადგილას, აგრეთვე იქონიოს დაწვრილებითი სია საწყობში შენახული საქონლის, როგორც დანიხრულისა ისე დაუნიხრავისა.

§ 9. ყოველი სახლის პატრონი მოვალეა აცნობოს სათანადო ადმინისტრაციას სია იმ საწყობთა, რომლებიც გამართულია მის სახლში.

§ 10. კანონის მე-8,9 მუხლებში აღნიშნული მოვალეობის დამრღვევი დაისჯება ჯარიმით ასი მანეთიდან 10,000 მანეთამდე ანუ დატუსაღებით ერთ წლამდე.

§ 11. ყოველი გამყიდველი საქონლისა მოვალეა მისცეს მყიდველს წერილობითი ანგარიში ნაყიდ საქონლისა, თუ ამას მყიდველი მოითხოვს.

ვინც მყიდველს მოთხოვნილებისამებრ ამ მუხლში ნაჩვენებს ანგარიშს არ მისცემს, დაისჯება ჯარიმით ასი მანეთიდან 1000 მანეთამდე.

§ 12. მე-10 მუხლის სასჯელი დაედება იმ პირსაც, რომელიც, რაიმე მოგონილ საბაბით უარს ეტყვის მყიდველს საქონლის მიყიდვაზე.

§ 13. ვინც რამე სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს სათანადო სავაჭრო მოწმობის აუღებლად, დაისჯება, გარდა აღნიშნულ კანონების მიერ გათვალისწინებულ დაჯარიმებისა და გადახდევნებისა, საპყრობილეში დაპატიმრებით 6 თვიდან ვიდრე ორ წლამდე.

§ 14. ეს კანონი ვრცელდება აგრეთვე სასტუმროთა, რესტორანთა, სასადილოსა, საკონდიტეროსა, კლუბის და სხვა ამ გვარ სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებზე, აგრეთვე ხელზე მოვაჭრეზე.

§ 15. ყოველ ამ კანონში აღნიშნულ დანაშაულობათათვის სასამართლოში მიცემულ პირთა საქმის გარჩევა ექვემდებარება ოლქის სასამართლოს.

§ 16. ეს კანონი აბათილებს ყოველ გვარ სხვა კანონებს და სავალდებულო დადგენილებათ იმდენად, რამდენად ეს უკანასკნელნი ეწინააღმდეგებიან ან არ ეთანხმებიან ამ დებულებას.

§ 17. ეს კანონი ძალაში შედის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მეორე დღიდან.

## საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის წესდება.

### I. კავშირის მიზანი.

1) საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის მიზანს შეადგენს: სამრეწველო მეურნეობის განვითარება და მიწის მესაკუთრეთა ინტერესის დაცვა.

2) ამ მიზნის მისაღწევათ:

ა) კავშირი მეცადინეობს სათანადო საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე, რათა დაცულ იქმნენ მეურნეობისა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესები.

ბ) ამავ მიზნით მუდმივი დამოკიდებულება აქვს სამთავრობო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ, ტეხნიკურ, პროფესიულ, საეკონომიო და სხვა დაწესებულებებთან.

გ) ეცდება დაარსებულ იქმნას სახელმწიფო და კერძო, საკრედიტო და სამელიორაციო დახმარება წევრთათვის მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

დ) იშუამდგომლებს სათანადო დაწესებულებებში სოფლით სავაჭრო სახელოსნო და სამეურნეო სკოლების დაარსებას, იარაღის ქარხნების, საცდელ-საჩვენებელ და საქონლის სამაკებელ პუნქტების მოწყობას და მეურნეობისათვის საჭირო სხვა და სხვა დაწესებულებების გახსნას.

ე) ზრუნავს რათა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა მეურნე და მიწის მესაკუთრე შეერთებულ და შეკავშირებულ იქმნას ერთ მთლიან ორგანიზაციაში ზემოთ ნათქვამ მიზნის მისაღწევათ.

ვ) აწყობს კონკურსებსა და გამოფენებს სამეურნეო ნაწარმოებისას, აჯილდოვებს საუკეთესოთ მოწყობილ მეურნეობებს.

ზ) ბეჭდავს სამეურნეო და საეკონომიო შინაარსის ნაშრომებს, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს.

ჰ) იძენს უძრავსა და მოძრავ ქონებას.

თ) აწყობს წევრთათვის იურიდიულ დახმარებას.

ი) მფარველობს ყოველგვარ დაწესებულებას, რომელიც ემსახურება მეურნეობისა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესს.

კ) ეხმარება წევრთ უბედურობისა და ზარალის დროს.

### II კავშირის წევრნი

3) კავშირის წევრნი არიან დამფუძნებელი, ნამდვილი და საპატიო.

4) დამფუძნებელ წევრათ ითვლებიან ისინი, რომელთაც პირველათ დააარსეს კავშირი და რომელთაც ხელი უწერიათ პირველათ შემუშავებულ წესდებაზე.

5) კავშირის ნამდვილ წევრათ მიიღებიან ორი წევრის რეკომენდაციით: მეურნენი, მიწის მესაკუთრენი, მოიჯარენი და მამულის გამგენი; აგრეთვე მეურნეთა საზოგადოებანი, ამხანაგობანი და კავშირნი, რომელთა მიზანია მწარმოებელთა შეკავშირება და დახმარება.

6) კავშირის ნამდვილი წევრი იხდის შესვლისთანავე საწევრო გადასახადს ერთდროულათ 30 მან. და ყოველ წლივ 20 მან.

შენიშვნა: ადგილობრივ განყოფილებებს შეუძლიათ გადასახადის შემცირება.

7) ყოველ ნამდვილ წევრს დამსწრეს საზოგადო კრებაზე მხოლოთ ერთი ხმა აქვს.

შენიშვნა: ყოველი წევრი პასუხისმგებელია მარტო შეტანილ ფულით.

8) კავშირის საპატიო წევრათ საზოგადო კრება ირჩევს იმ პირთ, რომელთაც მიუძღვით თვალსაჩინო ღვაწლი მშობლიო მეურნეობის წინაშე.

### III. კავშირის საშუალებანი.

9) კავშირის საშუალებას შეადგენს:

ა) ერთდროული შესასვლელი გადასახადი.

ბ) წლიური გადასახადი.

გ) შემოწირულება.

დ) კავშირის მიერ გამოცემულ წიგნების, გამართულ გამოფენების და სხვა შემოსავალი.

ე) უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალი.

### IV. კავშირის უფლება.

10) კავშირი აღჭურვილია სრული იურიდიულ პირის უფლებით.

11) კავშირს აქვს საკუთარი ბეჭედი.

### V. კავშირის საქმეთა მართვა.

12) კავშირს განაგებს საზოგადო კრება და საბჭო.

### VI. საზოგადო კრება.

13) მორიგ საზოგადო კრებას საბჭო იწვევს ყოველწლივ თებერვალში. საგანგებო საზოგადო კრებას მოიწვევენ საჭიროების მიხედვით საბჭოს ან სარევიზიო კომისიის დადგენილებით. გარდა ამისა საგანგებო კრება უთუოთ უნდა მოწვეულ იქმნას თუ ამას მოითხოვს წერილობით არა ნაკლებ ოცი წევრისა.

შენიშვნა: წევრთა წერილობით მოთხოვნაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ საკითხებისათვის არის საჭირო კრების მოწვევა.

14) საზოგადო კრების მოწვევა წევრებს ეცნობებათ ადგილობრივ ორ გაზეთში დაბეჭდილ განცხადებით.

15) საზოგადო კრებას ხსნის საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი თანაშემწე. შემდეგ კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს. ოქმის შესადგენათ თავმჯდომარე იწვევს მდივანს.

16) მორიგი ან საგანგებო კრება რომ კანონიერი იქნეს საჭირო არის კავშირის წევრთა ნახევრის დასწრება. თუ საჭირო რიცხვი არ გამოცხადდა, კრება გადაიდება და ერთი კვირის შემდეგ მოწვეული უნდა იქნეს მეორე კრება, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ. ამ მეორე კრებაზე შეიძლება გადასწყდეს მხოლოთ ის კითხვები, რომლებიც გამოცხადებული იყო პირველ კრებისათვის.

17) საზოგადო კრებაზედ საკითხები გადასწყდება ხმის უმეტესობით, გარდა იმ საკითებისა, რომელნიც ნაჩვენებია მე-19 მუხლის გ. ე. ვ. და ზ. პუნქტებში (საპატიო წევრთა არჩევა, მავნე წევრების გამორიცხვა წესდების შეცვლა და სესხის აღება) რომელთა გადასაწყვეტათ საჭიროა უმეტესობა ორი მესამედი დამსწრე წევრთა ხმისა.

18) საზოგადო კრების დადგენილებანი ჩაიწერებიან ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ: თავმჯდომარე და მდივანი კრებისა, საბჭოს და კავშირის დამსწრე წევრები.

19) საზოგადო კრების ვალდებულებას შეადგენს:

ა) განხილვა და დამტკიცება საბჭოს წარსული წლის მოქმედებისა და ანგარიშისა, აგრეთვე მომავალი წლის სამოქმედო გეგმისა და ხარჯ-აღრიცხვისა.

ბ) დამტკიცება კავშირის სხვადასხვა დაწესებულებათა წესრიგისა და ინსტრუქციებისა.

გ) განხილვა და დამტკიცება წესდების შეცვლისა და დამატებისა.

დ) შეძენა უძრავი ქონებისა.

ე) დადგენილება სესხის აღებისა.

ვ) ამორჩევა საპატიო წევრისა.

ზ) გამორიცხვა კავშირიდან მავნე წევრებისა დახურულ კენჭის ყრით.

ჰ) ამორჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა დახურული კენჭის ყრით.

შენიშვნა: გარდა ზემოთ აღნიშნულ საკითხებისა (ზ. და ჰ.) დახურული კენჭის ყრა სავალდებულოა სხვა საკითხების გადასაწყვეტათაც თუ დამსწრე წევრთა ერთმა მეათედმა მოითხოვა იგი.

20) არავითარი საკითხი არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს კრებაზედ თუ იგი განხილული და გამოცხადებული არ არის საბჭოსაგან. [illegible] საბჭოს შეუძლიან შეიტანოს ახალი საკითხი კრებაზე [illegible] რეშე საბჭოს წევრებისა, დამსწრე წევრთა ერთი მესამედი.

### VII. კავშირის საბჭო.

21) კავშირის საბჭო იმყოფება თბილისში და შესდგება 7 წევრისა და 3 კანდიდატისაგან. საბჭოს წევრნი ირჩევიან სამი წლის ვადით, ხოლო პირველი წლის თავზე წილის ყრით გადის ერთი მესამედი წევრთა, მეორე წლის თავზე—მეორე მესამედი, დანარჩენი—მესამე წლის თავზე. გამოსული წევრნი და მათი კანდიდატნი შეიძლება იქნენ არჩეულნი ხელახლა.

შენიშვნა: საბჭოს აქვს უფლება კოოპტაციისა.

22) საბჭოს წევრის ნაცვლათ, თუ იგი სხდომებს ვერ ესწრება ავადმყოფობისა ანუ გარეთ ყოფნის გამო, მის მოვალეობას ასრულებს კანდიდატი, რომელიც მოიწვევა მიღებულ ხმის უმეტესობით.

23) საბჭო ირჩევს თვის თავმჯდომარეს, მის თანაშემწეს, ხაზინადარსა და მდივანსა.

24) საბჭოს დადგენილებათა კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება არა ნაკლებ 4 წევრისა.

25) საბჭოს ვალდებულებას შეადგენს:

ა) იყვეს კავშირის წარმომადგენლათ მართებლობის, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებისა და კერძო პირების წინაშე.

ბ) კავშირის ყოველივე საქმეთა წარმოება.

გ) სისრულეში მოიყვანოს საზოგადო კრების დადგენილებანი.

დ) ყოველივე თხოვნისა და განცხადების განხილვა და შესაფერი დასკვნა.

ე) მიღება ყოველგვარ შემოსავლისა და გაცემა ფულისა თანახმად საზოგადოების დადგენილებისა.

ვ) მიღება ნამდვილ წევრთა.

ზ) შედგენა წლიურ ანგარიშისა და მომავალი ხარჯ-აღრიცხვისა.

ჰ) მოხელეთა დაქირავება და დათხოვნა.

თ) საბჭოს წევრნი ან უსასყიდლოთ ასრულებენ თვის მოვალეობასა ან საზოგადო კრების მიერ დადგენილ ჯილდოს იღებენ.

### VIII. სარევიზიო კომისია.

26) საზოგადო კრება ირჩევს ყოველ წლივ სარევიზიო კომისიის სამს წევრს და იმდენსავე კანდიდატებს.

27) სარევიზიო კომისიის ვალდებულებაა: შეამოწმოს კავშირის კასა, საბუთები, დავთრები, წლიური ანგარიშები, მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა და კავშირის ყოველივე საქმიანობა და წარმოება. ყოველივე ამაების შესახებ კომისიამ კრებას მოხსენება უნდა წარუდგინოს წერილობით.

### IX. ლიკვიდაცია.

28) თუ ლიკვიდაცია იქნა, ორი საზოგადო კრება საჭიროა. პირველი კრების არჩეული კომისია შეიმუშავებს წესრიგს ლიკვიდაციისას, რასაც მოახსენებს მეორე კრებას დასამტკიცებლათ. ეს კრება ერთ თვეზე ადრე არ უნდა იყოს მოწვეული პირველი კრების შემდეგ.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.
გამოცემა: დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

## განცხადებები.

**მეურნეთა კავშირის საბჭო**

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ რომ თანახმად წესდების მე-13 მუხლისა, კვირას 15 ენკენისთვეს დილის 11 საათზე შესდგება საგანგებო კრება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიატინსკის ქუჩა № 5), განსახილველია წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა და დამტკიცება.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ ნაციონალ-დემოკრატიულ ქუთაისის გაზეთზე.

1918 წლ. **„ჩვენი ქვეყანა“** 1918 წლ.

გაზეთის ფასი: ნახევარი წლით 27 მან., თვიურად 4 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ. რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. ფიჩხაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—7-მდი.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის-ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა. ბავშთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.
ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14—09.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ცხოვრება“ გაბაანთ შესახვევი № 4.